პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 2 (13123) | სამშაბათი, 5 იანვარი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საჩუქრებს გვიძღვნის ახალი წელი

ნაძვისხის დღესასწაული კრემლში

მოსკოვი, 4 იანვარი. (საკ.). სტუმართმოყვარულად არის გახსნილი კრემლის დიდი სასახლის კარი. მეხუთე დღეა აქეთ მოისწრაფვიან ბავშვები — საახალწლო ნაძვისხის დღესასწაულზე. ნაძვისხეც ათასფრად ციმციმებს, მის გარშემო მხიარული საზეიმო ფერხული იმართება, გაისმის წკრიალა სიმღერები.

მარტო მოსკოველები როდი ეწვევიან კრემლს საახალწლო დღესასწაულზე ზამთრის სასკოლო არდადეგების დღეებში. მოსაწვევი ბილეთები მიიღეს ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქისა და სოფლის იმ ბავშვებმა, რომლებმაც ეს დაიმსახურეს კარგი სწავლით, პიონერული შემართებით. აქ შეხვდებით რიაზანისა და ორიოლის, ლენინგრადისა და ორეხოვო-ზუევოს მოსწავლეებს.

საახალწლო ინტერმედიას „საჩუქრებს გვიძღვნის ახალი წელი“ უყურებენ საზღვარგარეთელი სტუმრებიც. ნაძვისხის დღესასწაულზე იყვნენ ავღანეთის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკას, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, დანიის, ინდოეთის, ინდონეზიის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, თურქეთის ბავშვები.

ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდ, ყველაზე ლამაზ ნაძვისხესთან უკვე გაერთო 12 ათასზე მეტი ბავშვი.

რამდენიმე ათასი მოსწავლე ზეიმობს ხოლმე საახალწლო ნაძვის ხეს კრემლის ტაინიცის ბაღში, სადაც მათთვის მომზადებულია ბევრი გასართობი. (საკ.).

მოსკოვი. კრემლი.

შვიდწლედის დამამთავრებელი წელი

ეს 1965 წელიც დადგა... საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მილოცვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ შვიდწლედის დამამთავრებელი წელი ახალ გამარჯვებებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას კომუნიზმის მშენებლობაში.

თვითეული საბჭოთა ადამიანი სიამაყით ავლებს თვალს 1964 წლის განვლილ გზას. ეს იყო ჩვენი საზოგადოების წარმატებით განვითარების, სიძნელეთა გადალახვისათვის მედგარი ბრძოლის წელი, როცა მილიონობით მშრომელებმა შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს კომუნიზმის მშენებლობებზე, როცა მოპოვებულია დიდი მიღწევები დედამიწაზე და კოსმოსში, წარმოებაში, მეცნიერებასა და კულტურაში.

ახალ წელიწადს საბჭოთა ადამიანებმა ახალი წელილი უნდა შეიტანონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის რეალიზაციაში. წინ ნათელი პერსპექტივები, ახალი დიდი საქმეებია. მიმდინარე წლის მთავარი ამოცანები განსაზღვრულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმით. ჩვენ მკვეთრად უნდა გავადიდოთ ეროვნული შემოსავალი, მნიშვნელოვნად გავაფართოოთ სოფლის მეფრინველეობის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, მოხმარების საგნების წარმოების ზრდის ტემპები მივუახლოოთ წარმოების საშუალებათა გამოშვების ზრდის ტემპებს, მნიშვნელოვნად გავადიდოთ მოსახლეობის რეალური შემოსავალი.

ეს გეგმები ჩვენს ხალხს მიაჩნია იმის ახალ დადასტურებად, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის მთავარია ზრუნვა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის საფუძველია ქვეყნის ელექტროფიკაცია. შვიდწლედის დამამთავრებელ წელს საბჭოთა ადამიანები ელექტროენერგიის გამომუშავებას გაადიდებენ 510 მილიარდ კილოვატ-საათამდე. ამუშავდება 11 მილიონ კილოვატზე მეტი საერთო სიმძლავრის ახალი აგრეგატები. ეს იმას ნიშნავს, რომ წლის განმავლობაში ჩვენ ავაგებთ დაახლოებით 17 დნეპრჰესს!

ჩვენი ქვეყნის ქიმიკოსები მიმდინარე წელს პროდუქციის გამოშვებას გაადიდებენ დაახლოებით 15 პროცენტით. ზრდის ტემპებით ქიმია კვლავ იქნება მრეწველობის სხვა დარგებზე წინ. მეტალურგები გამოადნობენ სულ ცოტა 90 მილიონ ტონა ფოლადს, 70 მილიონამდე ტონა ნაგლინს. თუჯის გამოდნობას დაიწყებენ ახალი მძლავრი ბრძმედები მაგნიტოგორსკში და ჭალაკ უდაზოვში, ამუშავდება კონვერტერები და დანადგარები ნოვოლიპეცკის, კრივოი როგის, ჩერეპოვეცის, დასავლეთ ციმბირისა და სხვა მეტალურგიულ ქარხნებში.

სათბობი მრეწველობის მუშაკებმა მნიშვნელოვნად უნდა გაადიდონ თხეკადი, მაგარი და გაზისებრი სათბობის მოპოვება. ნავთობის წლიური მოპოვება გაიზრდება 242 მილიონ ტონამდე, გაზისა — 128 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ახალ ნაბიჯს გადადგამენ წინ მეშახტეები.

მძიმე ინდუსტრია აწარმოებს წინანდელზე მეტ მანქანებს, ნედლეულსა და მასალებს სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაადიდებლად. მტკიცე ადგილს დაიკავებს მსუბუქ მრეწველობაში ქიმის მასალები. მშენებლებმა საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ რეკორდული რაოდენობა საცხოვრებელი სახლებისა — 84 მილიონი კვადრატული მეტრი, აგრეთვე ბევრი სკოლა, საავადმყოფო, მაღაზია, სბავშვო ბაღი და ბაგა.

დიდ ასიგნობებს გამოყოფს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის. მინდვრებისა და ფერმების მშრომელნი მიიღებენ დიდძალ ტექნიკას, მინერალურ სასუქებს. სოფლად კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება მშენებლობა. საჭიროა უპირათაესად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რესურსები, გავაუმჯობესოთ დაგეგმვა, ფართოდ გავშალოთ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინიციატივა. სოფლის მეურნეობის მუშაკთა პატრიოტული მოვალეობაა გაადიდონ მინდვრების მოსავლიანობა, უფრო სწრაფად გადადგან ნაბიჯი წინ მეცხოველეობის განვითარებაში. მთავარია გავადიდოთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, წარმატებით შევასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, ავამაღლოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, გავაუმჯობესოთ მხვნელმთესველთა და მეცხოველეთა კეთილდღეობა.

ПРАВДА
3 იანვრის მოწინავე

ამოცანები უზარმაზარია, მაგრამ რეალურია. 1965 წელს პარტია საბჭოთა ადამიანების მთავარ ყურადღებას მიაპყრობს წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მოძველებულ საკეთილობათა შეცვლას ახალი, უფრო სრულყოფილი საკეთილობებით, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს.

ეკონომიკის განვითარების ამ აუცილებელი მოთხოვნის წარმატებით შესრულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელთა ინიციატივას, რომელიც მათ ახალი წლის წინ გამოიჩინეს. მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნებისა და ფაბრიკების მშრომელებმა მეცნიერებთან, ინჟინრებთან და დამპროექტებლებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით გადაწყვიტეს სამ-ოთხ წელიწადში მიაღწიონ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეს.

მოსკოველებმა და ლენინგრადელებმა სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ყველა მუშას, მეცნიერს, ინჟინერსა და ტექნიკოსს მიმართეს მოწოდებით მიბაძონ მათს მაგალითს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს შეჯიბრების ინიციატორთა თაოსნობა და ურჩიეს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს მხარი დაუჭირონ ამ თაოსნობას. ეჭვი არ არის, რომ შედგომი ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლა ახალ წელს თვითეული საბჭოთა მუშის, ოსტატის, მეცნიერის, ინჟინრის, ტექნიკოსის, ტექნოლოგის, კონსტრუქტორის, ეკონომისტის საქმე გახდება!

წელს დიდ ამოცანებს უსახავს ცხოვრება სამეურნეო და საგეგმო ორგანოებს. მათ მკვეთრად უნდა გააუმჯობესონ, გაამარტივონ, უფრო მოქნილი გახადონ წარმოების დაგეგმვის წესი და მეთოდიკა. უნდა გავაფართოოთ საწარმოთა უფლებები, გავათავისუფლოთ საწარმოები წვრილმანი მეურვეობისაგან, გაერთიანებების, ქარხნებისა და ფაბრიკების ხელმძღვანელებსა და კოლექტივებს მივცეთ მეტი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა, სამეურნეო დამოუკიდებლობა, გაადიდონ წარმოების ეფექტიანობა. მეტად საჭიროა მატერიალურად წავახალისოთ საწარმოთა კოლექტივები, რომ უკეთ გამოიყენონ მოწყობილობა, მთელი საწარმოო ფონდები.

ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მეურნეობის ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის ბრძოლაში უნდა გამოვიყენოთ ყველა მატერიალური და მორალური სტიმული. თვითეული მუშაკისა და კოლექტივის კეთილსინდისიერი, მაღალნაყოფიერი შრომა, მთელი საწარმოს საქმიანობის საერთო შედეგების გაუმჯობესება უნდა წავახალისოთ მატერიალურად. საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ ეკონომიური ბერკეტები საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამას მოითხოვს სახალხო მეურნეობის აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ინტერესები.

პროდუქციის ხარისხი რომ დღითიდღე უმჯობესდებოდეს, უნდა აღვკვეთოთ ისეთი ნაწარმის წარმოება, რომელზეც მოთხოვნილება არ არის. ამისათვის საჭიროა მუდამ ვაფართოებდეთ პირდაპირ კავშირს პროდუქციის მწარმოებელ ქარხნებსა და მაღაზიებს შორის, განვამტკიცებდეთ სახელშეკრულებო ურთიერთობას მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის. საჭიროა, რომ საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის, რომელზეც მოთხოვნილებაა, კოლექტივს, თვითეულ მუშაკს საზღაური ეძლოდეს. და, პირიქით, დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის კონკრეტულ დამნაშავეებს უნდა დაეკისროთ მატერიალური პასუხისმგებლობა.

საგეგმო დავალებებს უნდა ვასრულებდეთ რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით არა ისე, რომ ამას ყველაფერი შევწიროთ, არამედ სახსრების უმცირესი დანახარჯებით, უნდა ვიბრძოდეთ ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის, ყოველი ღონისძიებით ვამცირებდეთ დანაკარგებს, პროდუქციის თვითღირებულებას, ვზრდიდეთ წარმოების რენტაბელობას. თვითეული კოლექტივის მოვალეობაა რენტაბელური გახადოს თავისი საწარმო. დაე ჩვენში სულ უფრო ნაკლები იყოს ზარალიანი საწარმო, რომელიც დოტაციას იღებს სახელმწიფოსაგან! ამისათვის საჭიროა, რომ წლის პირველი დღეებიდანვე თვითეულმა ხელმძღვანელმა კარგად მოაწყოს საწარმოო პროცესი, საწარმოს რიტმული მუშაობა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანის შრომით წლითიწლობით იქმნება მძლავრი, ყოველმხრივ განვითარებული სოციალისტური ეკონომიკა. დაე შვიდწლედის დამამთავრებელი წელი იყოს ახალ დიდ და სახელოვან გამარჯვებათა წელი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში!



მათი მიზანი

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საკ.). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დ. რასკმა განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატები სამხრეთ ვიეტნამიდან არ წავალენო.

მან დაიცავა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა — პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად სამხრეთ ვიეტნამისათვის დიდი დახმარების გაწევის პოლიტიკა. მაგრამ რასკმა გამორიცხა შესაძლებლობა ომის სეროიოზული გაფართოებისა სამხრეთ ვიეტნამში.

გასული წლის საგარეოპოლიტიკური შეხედულებებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო პროგრამით გამოსვლისას სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, რომ სამხრეთ ვიეტნამი და კონგო ყველაზე საშიში პუნქტებია მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. ყველა მისი გამონათქვამი სამხრეთ ვიეტნამის შესახებ მიზნად ისახავდა იმას, რომ გაეძართლებინა ახლანდელი ამერიკული ინტერვენციის განგრძობა ამ ქვეყანაში.

შეეხო რა ამერიკის მთავრობის პოლიტიკას ლათინურ ამერიკაში, რასკმა გაამართლა ამერიკის შეერთებული შტატების თანამშრომლობა ამ ქვეყნების სამხედრო ხუნტებთან და დიქტატორულ რეჟიმებთან იმით, რომ შეერთებულ შტატებს სურთ ხელი შეუწყონ „ამ ქვეყნებში დემოკრატიის დაბრუნებას“.

ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სანტიაგო, 4 იანვარი. (საკ.). აქ გაიმართა ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. გაზეთი „ნიგელი“ იუწყება, რომ პლენუმმა განიხილა ისეთი საკითხები, როგორიც არის მასების ბრძოლა საარსებო უფლებებისათვის და მზადება პარლამენტის არჩევნებისათვის, რომელიც გაიმართება 1965 წლის მარტში.

იაპონია იარაღდება

ტოკიო, 4 იანვარი. (საკ.). კომპანია „მიცუბიში ძოსენის“ ნაგასაკის გემსაშენში მთავრდება 3 ათას ტონაზე მეტი წყალწყვის საესკადრო ნაღმოსნის „ამაცუკაძეს“ მშენებლობა. ეს ხომალდი აღჭურვილი იქნება „ტარტარის“ უახლესი საჰაერო რაკეტებით. გარდა რაკეტებისა, ახალ საესკადრო ნაღმოსანს აქვს სატორპედო დანადგარები, საშაულებანი წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და სხვა თანამედროვე შეიარაღება. ხომალდის ეკიპაჟი 290 კაცისაგან შედგება.

ახალი საესკადრო ნაღმოსნის 70 მერაკეტემ მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარა.

მომავალი თვის შუა რიცხვებში, როგორც გაზეთი „ასახი“ იუწყება, „ამაცუკაძე“ გადაეცემა იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალებს.

უკანასკნელ საათს

საბჭოთა მთავრობის პასუხი

1964 წლის 28 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის გაუგზავნა პასუხი 1964 წლის 17 ოქტომბრის წერილზე, რომელიც შეიცავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებას — მოწვეულ იქნას მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურების თათბირი, რათა განიხილონ ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და სრული მოსპობის საკითხი, აგრეთვე ის საკითხები, რომ პირველი ნაბიჯის სახით მიღწეულ იქნას შეთანხმება, რომ სახელმწიფოებმა უარი თქვან ამ იარაღის გამოყენებაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წერილში აღნიშნულია: საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ჩვენს დროში სახელმწიფოთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა იხსნან კაცობრიობა ატომური ომის საფრთხისაგან. ახლანდელ ვითარებაში, საბჭოთა მთავრობის აზრით, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხს, თუ შემდგომ როგორ გავაკეთეროთ ყველა იმთი ღონისძიებანი, ვინც მომბრეა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა, განიარაღების პრობლემის გადაჭრისა, როგორ გავაძლიერთო ზემოქმედება იმპერიალისტურ წრეებზე, რომლებიც ჯიუტად ეწინააღმდეგებიან შემდგომ წინსვლას ამ მიმართულებით. ეს საკითხი ახლა სულ უფრო მეტი სახელმწიფოს ყურადღებას იპყრობს.

ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის საკითხის რადიკალურად გადაჭრისათვის რომ იბრძვის, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს აგრეთვე დაუყოვნებლივ განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც უკვე ახლა შეუწყობდნენ ხელს გამალებული ატომური შეიარაღების შეკავებას, შეზღუდვას. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება შეიძლება გახდეს საერთაშორისო შეთანხმების დადება, რომ სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ატომურ იარაღს. ეს შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და მოსპობის გზაზე.

წერილში შემდეგ აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადება იმის შესახებ, რომ ატომური იარაღის აკრძალვისა და მოსპობის საკითხი განხილულ იქნას მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურების თათბირზე, შეესაბამება საბჭოთა მთავრობის ხაზსაც. სსრ კავშირის მთავრობა აცხადებს, რომ სავსებით ეთანხმება და მზარს უჭერს ამ წინადადებას.

დასასრულ წერილში ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა მზად არის მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოთა მეთაურების საერთაშორისო თათბირში ატომური იარაღის სრული აკრძალვისა და სრული მოსპობის საკითხის განსახილველად და ყველა სოციალისტურ და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს თათბირი გაიმართოს და დადებითი შედეგებით დამთავრდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია თურქეთში

მოსკოვი, 4 იანვარი. (საკ.). თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების მიწვევით დღეს მოსკოვიდან ანკარაში საპასუხო ვიზიტად გაემგზავრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ვ. პოდგორნი.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. ახუნოვა, ვ. ი. გაგანოვა, მ. ა. ჰუსეინოვი, ა. ვ. დანჩენკო, გ. დ. ჯავახიშვილი, ი. მ. კრატენკო, ვ. პ. რუბენი, ტ. უ. უსუბალიევი, პ. ნ. ფედოსეევი. დელეგაციის მჩრჩველად წავიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი.

ანკარა, 4 იანვარი. (საკ.). დღეს ანკარაში საპასუხო ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ვ. პოდგორნი.

ანკარის ესენბოგის აეროდრომზე, რომელიც საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, დელეგაციას შეხვდნენ რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე ენვერ აკა, მეჯლისის ეროვნული პალატის თავმჯდომარე ფუად სირმენი, მეჯლისის დეპუტატები და სენატორები და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი თურქეთში ნ. ს. რიჟოვი და საბჭოთა საელჩოს პერსონალი.

საბჭოთა პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ნ. ვ. პოდგორნიმ მადლობა გადიხადა გულღია და გულთბილი მიღებისათვის. „საბჭოთა და თურქი ხალხების ინტერესებისათვის სავსებით ბუნებრივია, — თქვა მან, — რომ თურქეთისა და სსრ კავშირის საზღვარი მტკიცე მეგობრობის საზღვრად გადაიქცეს, რომ შავი ზღვა კი არ თიმავდეს ჩვენს ქვეყნებს, არამედ განვითარებადი ეკონომიური გაცვლის გზად ვადაიქცეს, რომ ჩვენი ხალხები მუდამ მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, როგორც კარგი მეზობლები“.

დასასრულ ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა: „ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ ჩვენი კონტაქტები ხელს შეუწყობენ ურთიერთნდობისა და საქმიანი თანამშრომლობის განმტკიცებას, საბჭოთა კავშირისა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას დიდი ლენინისა და ათათურქის ტრადიციების სულისკვეთებით“.

საგზეა მძიმეწონიანი მატარებლები

ახალი წლის პირველი დღეები შესანიშნავი წარმატებით აღნიშნეს თბილისის საელმავლო დეპოს მძიმეწონიანი მატარებლების სახელოვანმა მემანქანეებმა.

აქსტაფა — თბილისის რკინიგზის მაგისტრალზე შეხვდა ახალი წლის დაბადებას მძიმეწონიანი მატარებლის მემანქანე ნიკოლოზ ხუჟუა. მან ამ დღეს 793 ტონით მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაიტანა და შესანიშნავი გამარჯვებით აღნიშნა დიადი შვიდწლედის მეშვიდე წლის პირველი დღე. ცნობილმა მემანქანემ გიორგი ბელოკონოვმა საახალწლო ანკეტაში ჩაიწერა 600 ტონა ტვირთის გადატანა გეგმის გადამეტებით.

სამ იანვარს ვახტანგ დევდარიანმა 2.000 ტონის ნაცვლად 2.800 ტონა ტვირთი გადიტანა. ასეთივე მაჩვენებლით აღნიშნა ახალი წლის პირველი დღეები მემანქანე გიორგი მაჭავარიანმა.

ქართველ მეტალურგებთან

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალი წელი ახალი საწარმოო რეკორდებით დაიწყეს ქართველმა მეტალურგებმა. საახალწლო საზეიმო დღეებში ახალი სიმძლავრით გუგუნებდნენ მარტენის, ბრძმედების და მილსაგლინავი ღუმელები. შეჯამებულია ახალი წლის პირველი დღეების მუშაობის შედეგები. 2 იანვარს მარტენის საამქროს საპატიო დაფაზე გაჩნდა წარწერა: „დიდება შეფოლადე შ. გელოვანს, რომელმაც დნობა 6,40 წუთში განახორციელა“, ეს მაშინ, როცა ნორმა 8 საათს ითვალისწინებს.

საპატიო დაფები. ახალი რეკორდებით დაამშვენეს მეტალურგებმა ა. ფანცულაიამ, ა. ნასიძემ, ზ. ყაველაშვილმა და სხვებმა. თვითეულმა მათგანმა ფოლადის დნობა ჩქაროსხულ ვადაში განახორციელა.

ახალი სამეურნეო წელი წარმატებით დაიწყეს აგრეთვე მებრძმედებმა, მგლინავებმა, მილგლინავებმა, მექანიკოსებმა.

ყლიურის გეგმა შესრულებულია

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 25 დეკემბრისათვის დაამზადეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.854 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული გეგმით გათვალისწინებული 6.590 ცენტნერის ნაცვლად.

რაიონის მეურნეობებმა იკისრეს გეგმის გადაჭარბებით 1.500 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული დაამზადონ და მიჰყიდონ სახელმწიფოს. (საქდესი).

კარგი სტარტი

ქუთაისი. (საკ. კორ.). გამართულად დაიწყო ახალი სამეურნეო წელი ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 4 იანვარს წარმატებით შეასრულა მშრალი ლითოფონის, შაბიამინისა და სალებავების გამოშვების დავალება. შაბიამინის საამქროს, რომელსაც გ. ანსტასიადი უძღვება, პირველ დღეს ერთი ტონა ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა.

ახალი წლის თარიღით მშრალი ლითოფონი გაიგზავნა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, აგრეთვე იაროსლავლში, ხარკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

ასევე კარგი სტარტი აიღეს აბრეშუმის კომბინატის ფეიერებმა. ახალი წლის პირველ სამუშაო დღეს მათ გეგმის გადამეტებით 7 ათასი მეტრი ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი მისცეს სამშობლოს.

ვიეტნამზე შეწყდეს ამერიკის აგრესია ვიეტნამსა და ლაოსში

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუან ტუიმ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს სახელზე გამოგზავნა დეკემბერ, რომელშიც მოყვანილია ფაქტები, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აფართოებენ შეიარაღებულ ჩარევას ვიეტნამელი ხალხის საქმეებში და აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ სამხრეთ ვიეტნამის ომში ჩაითრიონ თავიანთი მოკავშირეები სეატოს და ნატოს სამხედრო ბლოკებიდან. ამერიკის მხედრიონი უხეშად არღვევს ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს, ნათქვამია დეკემბერში, და ახალ შეიარაღებულ პროვოკაციებს ამზადებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ლაოსის იმ ტერიტორიის წინააღმდეგ, რომელსაც კონტროლს უწევენ ნეო ლაო ხაკ სატი და ნეიტრალისტური მხარე.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს ამ საშიში ავანტიურისტული ზრახვების წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ უარი თქვას თავის აგრესიულ გეგმებზე, გაიყვანოს სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის მთელი ჯარები, გაიტანოს იარაღი და სამხედრო ტექნიკა, მისცეს სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობას შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს თავისი საქმეები, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და ზუსტად დაიცვას ჟენევის 1954 წლის შეთანხმება ვიეტნამის საკითხზე და 1962 წლის შეთანხმება ლაოსის საკითხზე.

1964 წლის 30 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს სუან ტუის გაუგზავნა საპასუხო წერილი, რომელშიც იტყობინება, რომ საბჭოთა მთავრობა საკუთარი ინიციატივით, ანგარიშგაუწევლად, ანგარიშგაუწევლად ამერიკელ ოკუპანტთა ინტერესებისა, ეცდება ხელი შეუწყოს ვიეტნამელ ხალხს, ეცადოს, ეცადოს, ეცადო

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 49-ე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის 49-ე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოუშვა პოლიტგამომცემლობამ.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებულის ორმოცდამეცხრე ტომი შეიცავს წერილებს, ჩანაწერებსა და დეპეშებს, რომლებიც დაწერილია პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე (1914 წლის აგვისტო — 1917 წლის ოქტომბერი). ამ პერიოდის უკვე ცნობილ წერილებთან ერთად 49-ე ტომში პირველად ქვეყნდება 163 ლენინური დოკუმენტი. ვ. ი. ლენინის წერილები დიდმნიშვნელოვანი დამატებაა მისი ნაწარმოებებისა, რომლებიც შეიცავ ამ გამოცემის 26-34 ტომებში; ისინი შეიცავენ უძვირფასეს მასალას ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის შესახებ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის დარგში პირველი მსოფლიო ომის პირობებში.

ტომში შესულ წერილებში. ვ. ი. ლენინი განმარტავს ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკას ომისადმი დამოკიდებულების შესახებ, მშვიდობის შესახებ, რევოლუციის შესახებ, დემოკრატიისათვის ბრძოლის შესახებ იმპერიალიზმის ეპოქაში. „დემოკრატიას ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ყოველთვის მხარს ვუჭერთ არა „კაპიტალიზმის გულისათვის", არამედ იმიტომ, რომ გზა გავუკაფოთ ჩვენს მოძრაობას", წერდა ვ. ი. ლენინი. იგი სვამს ამოცანას, ვისწავლოთ შეგერთოთ „დემოკრატიისათვის ბრძოლა და სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლა, პირველი დაპირისპირებული მეორეს" (გვ. 347). სოციალისტური რევოლუცია, ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, შეუძლებელია დემოკრატიისათვის უბრძოლველად.

დემოკრატიისათვის ბრძოლის საერთო საკითხთა განუყოფელი კავშირით ვ. ი. ლენინი იხილავს რევოლუციონერ მარქსისტთა დამოკიდებულებას ერთა თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნისადმი.

წერილები მკაფიოდ ახასიათებენ ვ. ი. ლენინს როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადს, რომელმაც თანმიმდევრულად და ბოლომდე განახორციელა ინტერნაციონალური პოლიტიკა, სათავეში ჩაუდგა ბრძოლას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, 11 ინტერნაციონალის ყიდეურთა წინააღმდეგ, რომლებმაც უღალატეს მუშათა კლასის საქმეს. ვ. ი. ლენინის მიწერ-მოწერაში ასახულია მისი მოღვაწეობა, თუ როგორ აგროვებდა და რაზმავდა რევოლუციურ ძალებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში.

ტომში განსაკუთრებული ადგილი უკავია 1917 წლის დოკუმენტებს, რომლებიც დაწერილია ემიგრაციაში რუსეთში თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ. ამ პერიოდის წერილებში ვ. ი. ლენინმა პირველად ჩამოაყალიბა ძირითადი დებულებანი, თუ როგორია პარტიის დამოკიდებულება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობისადმი. ეს დებულებანი შემდგომ განავითარა ნაშრომში „წერილები შორიდან" და სხვ. ნაშრომები.

(საკდესი).

მაღალი აქტივობა, მომთხოვნელობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც „მუდამ მასების ავანგარდშია, მთელ თავის ცხოვრებას საფუძვლად უდებს ლენინურ ნორმებსა და პრინციპებს, სრულიფოფს იდეოლოგიურ საქმიანობას, ორგანიზაციულ ფორმებს, მუშაობის სტილსა და მეთოდებს, აძლიერებს თავის წარმმართველ, ხელმძღვანელ როლს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის, მათ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების ამოცანების გადაწყვეტაში. ამასთან ერთად იგი გადაჭრით ილაშქრებს პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგ. ამის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი.

როგორც პრაქტიკული გამოცდილება გვიჩვენებს, ჩვენი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში შეიძლება გაცილებით მეტი ყოფილიყო, უკანასკნელ წლებში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე უარყოფითი გავლენა რომ არ მოეხდინა ზოგიერთ სუბიექტურ და ნაჩქარევ ორგანიზაციულ ღონისძიებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია:

„კომუნისტურ მშენებლობაში პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელი როლის გაძლიერების, თვითეული ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული განვითარების ამოცანების უფრო წარმატებით გადაჭრის მიზნით საჭიროდ იქნას მიჩნეული დავუბრუნდეთ ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების აგების პრინციპს, რომელიც უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილად შევიდა პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებულ სკკპ წესდებაში".

სწორედ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში პარტიული ორგანიზაციების როლისა და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლის ნიშნით ჩაიარა პარტიულმა კონფერენციებმა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ახალი წლის კარიბჭესთან — 28-30 დეკემბერს გაიმართა. სამ საქალაქო და 62 რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე დელეგატები საქმიანად, პრინციპულად განიხილავდნენ ცხოვრების მომწიფებულ საკითხებს.

კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, წევრობის კანდიდატებმა, სარეციზიო კომისიის წევრებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგებისა და რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ მარნეულის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეშავანაძე, წალკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯაფარიძეები, წითელწყაროს რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პ. ა. რომელიანი, ცხინვალის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა, ბოგდანოვკის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კუბაევი.

პარტიული კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვები წარმოთქვეს: ახალქალაქის რაიონულ კონფერენციაზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ი. ჩოგოვაძემ, ბოლნისისა და ყაზარლის რაიონულ კონფერენციებზე — საქართველოს სსრ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ნ. ინასარიძა, ჩოხატაურის, მახარაძისა და წყალტუბოს რაიონულ კონფერენციებზე — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ შ. ა. დოლიძემ.

საქალაქო და რაიონული კონფერენციების მუშაობამ თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რაოდენ დიდია პარტიის ყველა რაზმის ერთობა, როდენ მტკიცეა მათი შეკავშირება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კომუნისტთა ეს დიდმნიშვნელოვანი ფორუმები მთელ რესპუბლიკაში წარიმართა მაღალი აქტივობის, შემოქმედებითი აზრის ურთიერთგაზიარების, საქმიანობისა და მომთხოვნელობის ვითარებაში. ისინი გამოხატავენ რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის მისწრაფებას მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელონ ლენინური გენერალური ხაზი, რომელიც კოლექტიურად შეიმუშავა პარტიამ თავის XX, XXI და XXII ყრილობებზე და რომელმაც ასახვა ჰპოვა პარტიის ახალ პროგრამაში.

დელეგატები სადად, პრინციპულად, თავიანთი მოვალეობის ღრმა შეგნებით საუბრობდნენ მომავლის ამოცანებზე, თვითეულ რაიონში სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებზე.

კონფერენციის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ ორი წლის წინათ განხორციელებულმა რეორგანიზაციამ, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპის მიხედვით პარტიული ორგანოების აგება შეიცვალა საწარმოო პრინციპით, ფაქტიურად ზანი მოუტანა საქმეს. განსაკუთრებით შესუსტდა რაიონული რგოლი. რაიონი, როგორც მთლიანი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული ნაწილებად გაყოფილი აღმოჩნდა. ნაჩქარევი გარდაქმნა ობიექტურად იწვევდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა, უფლებათა და მოვალეობათა აღრევას, პარტიულ კომიტეტიბს უბიძგებდა იმისაკენ, რომ სამეურნეო ორგანოების მაგივრობა გაეწიათ.

— საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, — განაცხადეს დელეგატებმა ტყიბულის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, — თუ როგორ შესუსტდა კავშირი ტყიბულის საწარმოებსა და მის ახლომახლო მდებარე სოფლებს შორის. კოლმეურნეობების პარტიული ორგანიზაციები მეტად დიდი მანძილით იყვნენ მოცილებული წყალტუბოს საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს. გაძნელებული ხუო კაღრებთან მუშაობაც.

ყველა კონფერენციაზე კომუნისტებმა ერთხმად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და აღნიშნეს, რომ ორი წლის მანძილზე ცხოვრებით, პრაქტიკით შემოწმებამ საუალება მისცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მთელი ობიექტურობით და პრინციპულად აეწონ-დაეწონა გარდაქმნის შედეგები, ყველა მისი პლუსი და მინუსი.

ახლანდელი პარტიული კომიტეტების მომავალი მოლვაწეობის ამოცანებს რომ განსაზღვრავდნენ, კომუნისტები ყურადღებას ამახვილებდნენ პარტორგანიზაციების ბრძოლის მთავარ ამოცანაზე — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყოველი ღონისძიებით აღმავლობის აუცილებლობაზე. ჭიათურის, ცხინვალის, ტყიბულის საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე ორატორები წარმოების აქტუალურ საკითხებს ეხებოდნენ. — საჭიროა არა მარტო გავზარდოთ წარმოება, — ამბობდნენ ისინი, — არამედ ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხიც.

კონფერენციებზე დიდი საუბარი იყო სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გადაუდებელ საკითხებზე, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუწყობესებაზე.

დელეგატები კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ ისეთ მეურნეობებზე და იქ მომუშავე კომუნისტებზე, რომელთაც თავი გამოიჩინეს შრომაში. ორატორებმა დაასახელეს მარეულელის, ჩაის, ყურძნის, თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატები, მოწინავე მეცხოველეები, რომელთა გამოცდილება ფართო მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია.

— რაიონის მეჩაიეებმა, — განაცხადეს მახარაძის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, — 1964 წელს გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა და სახელმწიფოს 84.948 ტონა ჩაის ნედლეულის დამზადება უპატაკეს. თავი ისახელეს კონკურსთის, თხილვალის კოლმეურნეობების, ლაითურის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა.

ჭაფარიძელ და ზემო მაჩხაანელ მეცხოველეთა, ვაზისუბნელ მევენახეთა წარმატებების, აგრეთვე ამ წარმატებათა მიღწევის „საიდუმლოების" შესახებ ითქვა წითელწყაროს, გურჯაანის რაიონულ კონფერენციებზე. და მოწინავე მეურნეობანი ხომ ყველა რაიონშია. მაგრამ როცა დელეგატები მიუთითებდნენ დადებით მაგალითებზე, კომუნისტებს, პარტიული კომიტეტების უყურადღებას ამახვილებდნენ ჩამორჩენილი მეურნეობების ეკონომიურად განმტკიცების საკითხებზე, ეძიებდნენ ახალ-ახალ რეზერვებსა და საშუალებებს, მწვავედ აკრიტიკებდნენ ნაკლოვანებებს.

ლანჩხუთელი დელეგატების სიტყვებში ხშირად გაისმოდა საყვედურები იმის გამო, რომ რაიონის კოლმეურნეობებში წინა წელთან შედარებით 1964 წელს საშუალოდ ერთი ყაფურაუე ძროხიდან 236 ლიტრით ნაკლები რძე მიიღეს. ბევრ მეურნეობაში მაცდენელეულისა და მეცხოველობის პროდუქტების, ჩაის, ყურძნის, თამბაქოს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დაბალი დონის შესახებ იყო ლაპარაკი ახალციხის, ბათუმის, ჩოხატაურის, გუდაუთის და სხვა რაიონების პარტიული ორგანიზაციების კონფერენციებზე.

კომუნისტთა ყურადღების ცენტრში იდგა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, განსაკუთრებით პირუტყვის სანიშნეშოდ გამაზამთრების საკითხი, ტექნიკის რემონტი, საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომზადება და სხვა.

და რაზედაც არ უნდა გამართულიყო სჯა-ბაასი — შეეხებოდა იგი სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის, კულტურისა თუ განათლების, სპორტი მშენებლობისა თუ ვაჭრობის, პარტიულ-ორგანიზაციული თუ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს — ყოველ სიტყვაში იგრძნობოდა მაღალი პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა როგორც თვითეული კომუნისტისადმი, ისე ახლადარჩეული პარტიული კომიტეტისადმი.

მოხსენებებიდან და კამათის მონაწილეთა გამოსვლებიდან კარგად ჩანდა ჩვენი რესპუბლიკის ავანგარდის — კომუნისტთა შრომის შესანიშნავი მაგალითები. ბევრი მათგანი ამ კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობდა. ხაზი გაესვა პარტიის წევრის მაღალ მოვალეობას სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. პარტიული კომიტეტების გადაუდებელი ამოცანა კი ის არის, რომ მეტი მზრუნველობითა და უყურადღებით მოეკიდონ გადამწყვეტ სამუშაო უბნებზე კომუნისტების სწორად განაწილებას, აღზარდონ კადრები მაღალი მომთხოვნელობის სულისკვეთებით.

კონფერენციების მუშაობამ ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანახვა, თუ მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად როგორ გაიზარდა რესპუბლიკის მშრომელთა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებისადმი. დელეგატების უყურადღების ცენტრში იყო ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის, წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლის პრობლემები. გამოითქვა ბევრი საყურადღებო წინადადება პოლიტწერეებისა და პოლიტსოლების, სახალხო უნივერსიტეტების, პოლიტიკური განათლების კაბინეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად, წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავეთა დასახმარებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დელეგატის გამოსვლა თვითანგაგრძნს წაეგვიდა, მასში არ ჩანდა ნაკლოვანებებისადმი გამბედული კრიტიკა.

კონფერენციებმა აირჩიეს ახალი რაიონული და საქალაქო პარტიული კომიტეტები, რომელთაც კომუნისტებმა მისცეს კოლექტიური, შემოქმედებითი აზრით შემუშავებული თავიანთი განაწესები. ამ განაწესებში მოცემულია ტიათურის, ცხინვალის, ტყიბულისა და რესპუბლიკის ყველა სასოფლო რაიონის მშრომელთა წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტის გზები. მთავარი ყურადღება აქვს დათმობილი იმას, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების დიდმნიშვნელოვანი პირობაა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის, ქმედითობის, შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ამაღლება. ისინი ხომ მოოვაჟეობენ ყველა მეურნეობაში, საწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებასა და სასწავლებელში, სწორედ იქ, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური და სულიერი დოვლათი.

პარტიის ახალი წესდების შესაბამისად ყველგან მნიშვნელოვნად განაახლეს ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების შემადგენლობანი.

და აი პრაქტიკულად განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილება — აღდგენილ იქნა ტერიტორიულ საწარმოო ნიშნის მიხედვით პარტიული ორგანოების აგების ლენინური პრინციპი.

დაიწყო ახალი, შვიდწლედის დამამთავრებელი 1965 წელი. ახლადარჩეული პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებიც მუშაობას შეუდგნენ.

რაიონული და საქალაქო საბჭოების სესიებზე

[illegible] ... ბოლო [illegible] ... ბოლო [illegible] ... ბოლო [

მსოფლიო ამ დღეებში

ზეიმი კუბაში

გასულ შაბათს კუბელმა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა კუბის რევოლუციის გამარჯვების მეექვსე წლისთავი.

უჩვეულოდ ადრე გაიღვიძა ამ დღეს თავისუფლების კუნძულის დედაქალაქმა. მძლავრი რეპროდუქტორებით აღჭურვილი მანქანები უბნებს უვლიდნენ, მოსახლეობას აუწყებდნენ, რომ იწყება სამხედრო პარადი და მიტინგი. სადღესასწაულოდ მოირთო ჰავანა. ქარხნებისა და ფაბრიკების, სკოლებისა და საცხოვრებელი სახლების შენობებზე გაკრულია უზარმაზარი ასოებით დაწერილი ლოზუნგები: „გაუმარჯოს რევოლუციის მეექვსე წლისთავს“.

დანიშნულ დრომდე გაცილებით უფრო ადრე დედაქალაქის ასეული ათასობით მშრომელი გაემართა რევოლუციის მოედნისა და მისი მახლობელი ქუჩებისაკენ. ეროვნული გმირის ხოსე მარტის მონუმენტთან აღმართულ ტრიბუნაზე არიან უცხოელი სტუმრები, კუბის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მთავრობის ტრიბუნაზე ავიდნენ კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო და რესპუბლიკის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოსი, კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები, მინისტრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მოედანზე გაისმის მჭუხარე ოვაცია.

პარადის სარდალმა მოახსენა რევოლუციური შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ფიდელ კასტროს, რომ ჯარები მზად არიან და მიიღო პარადის დაწყების ნებართვა. მკვეთრი ნაბიჯით ჩაუარეს ტრიბუნებს სამხედრო სასწავლებლების კურსანტებმა, სახელმწიფო უშიშროების ჯარების ქვეგანაყოფებმა და სახალხო მილიციის კოლონამ. ტრიბუნებს გადაუფრინეს კუბის შეიარაღებული ძალების რეაქტიულმა თვითმფრინავებმა. მოედანზე მოდიან საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის ქვეგანაყოფები, ჯავშანსატანკო ჯარები და რაკეტული იარაღით შეიარაღებული სანაპირო დაცვის ნაწილები.

პარადის დამთავრების შემდეგ გაიმართა მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა ფიდელ კასტრომ. მან ქმაყოფილება გამოთქვა განვლილი წლის შედეგების გამო და აღნიშნა, რომ 1964 წელს კუბის ეკონომიკა მთელი ხალხის ყურადღების ცენტრში იყო. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში. სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიდელ კასტრომ მიუძღვნა შაქრის წარმოების გადიდების პრობლემებს, აგრეთვე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს.

შეეხო რა კუბის საერთაშორისო მდგომარეობას, პრემიერ-მინისტრმა დასძინა იმპერიალისტთა იმედებს, რომ კუბა ჩამოშორდება სოციალისტურ ბანაკს. ფიდელ კასტრომ კვლავ დაადასტურა კუბის სოლიდარობა სოციალიზმის ქვეყნებთან.

სიტყვის დასასრულს ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ 1965 წელი „სოფლის მეურნეობის წელი“ იქნება.

(საკ.).

ვ. ი. ლენინის ხსოვნისათვის

საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი დიდი ლენინი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ფინეთისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, არაერთხელ ყოფილა ფინეთის მთელ რიგ ქალაქებში, კერძოდ ჰელსინკში. ამასთან დაკავშირებით ფინეთის დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება უკვდავჰყოს ვლადიმერ ილიას-ძის ხსოვნა. ქალაქის კანცელარიას წინადადება მიეცა შეიმუშაოს და შეიტანოს წინადადებანი. ჰელსინკში ცნობილია კერძო ბინები, სადაც რევოლუციის ბელადს უცხოვრია, როცა ამ ქალაქში იყო. გადაწყდა ერთერთ სახლს გაუკეთონ მემორიალური დაფა.

სენეგალის ამოცანები

დაკარი, 4 იანვარი. (საკ.). რეზოლუციაში, რომელიც გუშინ მიიღო მმართველი პარტიის — სენეგალის პროგრესიული კავშირის ეროვნული საბჭოს სესიამ, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა ბრძოლა ფეოდალიის წინააღმდეგ და საბიჯეტო ასიგნებათა უფრო რაციონალური განაწილება და სახელმწიფო აპარატის ზედმეტი ხარჯების შემცირება.

პარტიის გენერალური მდივნის, სენეგალის პრეზიდენტის ლეოპოლდ-სედარ სენგორის საანგარიშო მოხსენების გარდა სესიის ყურადღების ცენტრში იყო ფინანსთა მინისტრის ჟან კოლენის მოხსენება 1965-66 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიჯეტის შესახებ.

სესიაზე მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა დიდუ ტიამმა, რომელმაც განაცხადა, რომ სენეგალის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად უდევს მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლის, მიუმხრობლობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები.

მთავრობის საწინააღმდეგო ახალი გამოსვლები

◊ **ჰანოი**, 4 იანვარი. (საკ.). სამხრეთ ვიეტნამის დედაქალაქში დაიწყო მთავრობის საწინააღმდეგო ახალი მძლავრი გამოსვლები. როგორც საიგონიდან იუწყებიან, გუშინ იქ შეიკრიბა 4 ათასი ბუდისტი, რომლებიც გადაჭრით მოითხოვდნენ ჩან ვან ხიონგის მთავრობის გადადგომას. ეს სიგნალი იყო დღევანდელი მანიფესტაციისა, რომელიც დაემთხვა იმ სტუდენტთა გასამართლების დაწყებას, რომლებსაც ბრალად სდებენ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ნოემბრის გამოსვლებში მონაწილეობას. ათასზე მეტი დემონსტრანტი შეიკრიბა დღეს ზოგიერთ საბჭედრო შტაბთან. ისინი მოითხოვდნენ ბოლო მოეღონ მარიონეტ ხელისუფალთა თვითნებობას. საიგონის გუბერნატორი სასწრაფო ღონისძიებებს ახორციელებს დემონსტრანტთა მოქმედების ლოკალიზაციისათვის. პოლიციამ და საზღვაო ქვეითი ჯარის ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს ქალაქის რამდენიმე უბანს. აღშფოთებულ ხალხს წინ გადაეღობა ეკლიანი მავთული, სატვირთო და სახანძრო ავტომანქანები. პოლიციელთა საფარს უკან დააყენეს მძიმე ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ჯავშნოსანი მანქანები.

მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები ამავე დროს დაიწყო სამხრეთ ვიეტნამის სხვა რაიონებში. ათასზე მეტმა სტუდენტმა დღეს ორი დღის გაფიცვა მოაწყო ძველ დედაქალაქ გუეში. ჩვენ, განაცხადა ახალგაზრდობის ერთ-ერთმა მეთაურმა, მოვითხოვთ ახლანდელი მთავრობის გადადგომას, აგრეთვე ომის შეწყვეტას.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ დღეებში იმავე გუეში, აგრეთვე და-ნანგსა და კუანჩში დემონსტრანტებმა მსვლელობა მოაწყეს ქუჩებში. მათ მოჰქონდათ პლაკატები: „იანკებო, საშუალება მოგვეცით თვითონვე გადავწყვიტოთ ჩვენი საქმეები! ვიეტნამი — ვიეტნამელებს!“.

დიდი მოვლენა

ამ დღეებში ინდონეზია აღნიშნავს დიდ მოვლენას თავის ცხოვრებაში: 1965 წლის დამდეგისათვის ინდონეზიაში ძირითადად ლიკვიდირებულია მოსახლეობის უწიგნურობა. ეს გამოაცხადა მასობრივ მიტინგზე ჯაკარტაში პრეზიდენტმა სუკარნომ. 19 წლის წინათ, როცა ინდონეზია დაადგა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას, უწიგნურობა ამ ქვეყანაში შეადგენდა თითქმის 94 პროცენტს. ეს მძიმე მემკვიდრეობა კოლონიზატორთა 350 წლის ბატონობის შედეგი იყო.

ტრაგედია ეკლესიაში

55 კაცი დაიხოცა და 35 დაშავდა, როცა წირვის დროს ჩამოინგრა ეკლესიის სახურავი მექსიკის ბატარა ქალაქ რიხოში, რომელიც მეხიკოს სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 კილომეტრზე მდებარეობს.

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

დღეს ვაშინგტონში იხსნება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 89-ე სესია, რომელზეც პრეზიდენტი ლ. ჯონსონი წაიკითხავს წერილს თავისი ქვეყნის მდგომარეობის შესახებ. ამერიკის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამ მოვლენას, აქვეყნებს სარედაქციო სტატიებსა და კონგრესის ახალი სესიის გახსნასადმი მიძღვნილ სხვა მასალებს.

საზღვარგარეთის გაზეთები კვლავ ფართოდ აშუქებენ სამხრეთ ვიეტნამის ამბებს. **ინგლისური „გარდიანი“** აღნიშნავს, რომ საიგონის რეჟიმის ჯარებმა დიდი დამარცხება განიცადეს პარტიზანებისაგან. **ფრანგული „კომბატ“**, თავის მხრივ, წერს, რომ ამ ბრძოლის შედეგად, რომელმაც ხუთ დღეს გასტანა, სამხრეთ ვიეტნამის ჯარებმა განიცადეს „ყველაზე კატასტროფული დამარცხება ომის დაწყებიდან“. **„ლუმანიტეს“** მთავარი რედაქტორი რენე ანდრიე აღნიშნავს: „ყოველი მიუკერძოებელი მეთვალყურისათვის ცხადია, რომ ვაშინგტონელი სტრატეგები ჩიხში მოექცნენ. ამერიკის იმპერიალიზმი აგებს ომს ვიეტნამში, სწორედ ისევე, როგორც საფრანგეთის კოლონიალიზმმა, რომელიც მან შეცვალა, წააგო ომი ინდოჩინეთში“.

ავტორი განაგრძობს, რომ რეჟიმს, რომელიც ამერიკელებმა დააყენეს საიგონში, „არა აქვს არავითარი დასაყრდენი... ზედიზედ ხდება სახელმწიფო გადატრიალება. მარიონეტები თავიანთ ბატონებსაც კი ულრენენ. ჩვენ იმის მოწმე ვართ, თუ როგორ კბენენ ერთმანეთს ვირთხები, რომლებიც მოხვდნენ ხაფანგში საიგონის უზარმაზარ სანაგვეში.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ და **„ნიუ-იორკ ტაიმსი“** საიგონიდან მიღებულ კორესპონდენციებში წერენ, რომ ძლიერდება საპროტესტო მოძრაობა სამხრეთ ვიეტნამის ახლანდელი მთავრობის წინააღმდეგ. ამავე დროს გაზეთები აქვეყნებენ რასკის გამონათქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ აპირებენ სამხრეთ ვიეტნამიდან წასვლას. **ფრანგული „ნასიონი“** კი ურჩევს ამერიკის შეერთებულ შტატებს „მთელი დასავლეთის ინტერესებისათვის სამხრეთ ვიეტნამის პრობლემა განიხილონ არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისით“.

ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ მალაიზიის რაიონში ინგლისელებმა დაიწყეს ახალი საომარი მზადება, აღნიშნავენ, კერძოდ, რომ სინგაპურში გაიგზავნა ინგლისის სამხედრო მაშველი ძალები და რომ შორეულ აღმოსავლეთში გაემგზავრა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფ. მალი.

დასავლეთ გერმანიის პრესის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. (საკ.).



საზღვარგარეთის ჟურნალები

შეერთებული შტატები და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ცდილობენ რაც შეიძლება მალე შეიქმნას ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალები. ბონი მოუთმენლად ელის იმ ჟამს, როცა ატომური იარაღის მფლობელი გახდება.

(გაზეთებიდან)

საახალწლო საჩუქარზე, რომელიც ჯონსონს მიაქვს ერაჰარდისათვის, წარწერაა: „ბონის ბომბები“ (სიტყვების თამაში, რომელსაც თარგმნა არ უხერხდება. ინგლისურიდან „ბონ-ბომბს“ ისმის როგორც „ბონ-ბონზს“, რაც „კამფეტებს“ ნიშნავს).

ნახატი ინგლისელ მხატვარ ეკლზისა გაზეთ „დეილი უორკერიდან“.

ქარბი შედეგები, ნათელი პერსპექტივები

სოციალისტური ეკონომიკა ქვეყნებში

გეგმა—ვადაზე ადრე

პრაღა. 1964 წელი სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში შევა როგორც დიდ შრომით გამარჯვებათა წელი.

განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავეს ოსტრავა-კარვინის, კლადნოს, სოკოლოვის, ჩრდილოეთ ჩეხეთისა და რესპუბლიკის სხვა ქვანახშირის აუზების მეშახტეებმა. პირველად გადაჭარბებულია ქვანახშირის წლიური ამოღების ასმილიონიანი მიჯნა. პროგრამის გადამეტებით ამოღებულია 2,5 მილიონ ტონაზე მეტი ქვანახშირი.

ვადამდე შეასრულეს წლიური საწარმოო პროგრამა მეტალურგებმა. ჩეხოსლოვაკიაში ფოლადის გამოდნობა უახლოვდება 8 მილიონ ტონას.

კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 10 პროცენტით. ამუშავდა ჩრდილოეთ ჩეხეთის თბოელექტროსადგური „ტუშიმიცე“, რომელიც უდიდესია ჩეხოსლოვაკიის ენერგეტიკულ ბალანსში. [illegible] 660 ათასი [illegible] ტონა ფოლადი. ჩეხოსლოვაკიის მეტალურგიულ კომბინატში პირველი პროდუქცია გამოუშვა ცივი გლინვის მძლავრმა დანადგარმა.

სამრეწველო წარმოების მოცულობა ჩეხოსლოვაკიაში დაახლოებით 5 პროცენტით გადიდდა. გეგმის გადაჭარბებით წარმოებულია 2,8 მილიარდი კრონის პროდუქცია.

ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა სესიაზე

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა მესამე მოწვევის კრების პირველ სესიაზე კვირას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ აირჩიეს ლიუ შაოციი. სუნ ციონ-ლინი და დუნ ბი-უ არჩეულნი არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილეებად, ჯუ დე — სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარედ. თავმჯდომარე ლიუ შაო-ციის რეკომენდაციით ჯოუ ენ-ლაი დაინიშნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერად.

დიდი პროგრესი

ვარშავა. რა იყო პოლონეთის უკონომიკის დამახასიათებელი ნიშანი 1964 წელს? — წარმოების განვითარების მაღალი ტემპი. მთლიანი სამრეწველო წარმოება 1963 წელთან შედარებით 8,3 პროცენტით გადიდდა.

განსაკუთრ წელს სახალხო პოლონეთში წარმოებული იყო 40 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, ამოღებულია 117 მილიონი ტონა ქვანახშირი, გამოდნობილია 8,5 მილიონი ტონა ფოლადი.

ეს იყო დიდი ქიმიის სწრაფი განვითარების წელი. „მეგობრობის“ ნავთობსადენით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკამ მიიღო მილიონობით ტონა საბჭოთა ნავთობი. საექსპლოატაციოდ გადაეცა მაზოვეცკის ნავთობსაწმენდი და ნავთობგადასამუშავებელი კომბინატის პირველი რიგი პლოცკში. სულ მუყაობრში ჩადგა დაახლოებით 200 ახალი ქიმიური ობიექტი. გრძელდებოდა ახალ საწარმოთა ინტენსიური მშენებლობა.

ათეულ ათასობით მშრომელმა მიიღო ახალი ბინა. 262 ათასი ახალი ოთახი — ასეთია წლის შედეგი. აშენდა ახალი სკოლების, კულტურის სახლების, თეატრების, კინოთეატრების კორპუსები.

კარგი შედეგებით შეხვდნენ ახალ წელს მინდვრის მშრომელები. მოწეულია მარცვლეული კულტურების, შაქრის ჯარხლის, ბოსტნეულის, ხილის კარგი მოსავალი.

ახალმშენებლოგათა ხარაჩოებში

ბუქარესტი. ახალმშენებლობათა ხარაჩოებით შეხვდა ახალ წელს სოციალისტური რუმინეთი. კრაიოვაში შენდება ახოტიანი სასუქის კომბინატი, რომელიც უდიდესი იქნება ევროპაში. მის მახლობლად შენდება სლატინის ალუმინის ქარხანა. უნგრეთის საზღვართან ორადში შენდება თიხა-მიწის ქარხანა. ქვემო დუნაის დაბლობში გალაცთან შენდება დიდი მეტალურგიული კომბინატი. იგი ყოველწლიურად გამოუშვებს მილიონი ტონით მეტ ფოლადს, ვიდრე გამოდნობილი იყო წელს.

ელექტრომემონტაჟებს მაღლა მთებში გაჰყავთ „კარპატის ელექტრომაგისტრალი“ — ლუდუმ-სლატინის ელექტროგადამცემი ხაზი. შენდება ახალი მასტები, მაღაროები, ელექტროსადგურები, ქიმიის, მსუბუქი, კვების, ხე-ტყის დასამუშავებელი მრეწველობის საწარმოები.

ახალი წლის დღესასწაულის წინ ბუქარესტისა და სხვა ქალაქების ათასობით ოჯახმა მიიღო ახალი ბინები. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სახელმწიფო სახსრებით აშენდა 210 ათასზე მეტი ბინა.

წელს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკამ აღნიშნა ფაშისტთა უღლისაგან რუმინეთის განთავისუფლების 20 წლისთავი. ამ წლებში მიღწეულია დიდი წარმატებები. სამრეწველო წარმოება ომამდელთან შედარებით გადიდდა რვაჯერ. მარცვლეული კულტურების საშუალო წლიური მოსავალი გადიდდა ორი მილიონი ტონით.

მეგობრების ღიმილი

უკანასკნელ წუთს

ლასლო ტაგი

საათის ისარი ხუთის თხუთმეტ წუთს უჩვენებდა. თანამშრომლები მხიარულად ფუსფუსებდნენ პირსაბან ოთახში, ცდილობდნენ ხელის ბანით მოეკლათ მიმავალი წლის უკანასკნელი სამუშაო დღის უკანასკნელი საათის მეოთხედი დრო. საწარმოს დირექტორი ბრუნო ჩაბაიც მზად იყო საკუთარი თავისაგან გაეთავისუფლებინა კაბინეტი — ღიღინით აწყობდა უჯრაში შტამპებს, ბეჭდებს და მუდმივ კალმისტრებს. სამუშაოს წარმატებით შესრულების გამო ნეტარი განცდა დაუფლებოდა.

რამდენიმე თანამშრომელი და მათ შორის ისინიც, რომლებსაც ოთხი საათისათვის უკვე მოთავებული ჰქონდათ ხელის დაბანა, დირექტორის კაბინეტში შევიდნენ და გულწრფელად უსურვეს უფროსს ბედნიერი ახალი წელი. ჩაბაი ფრიად ნასიამოვნები დარჩა.

— გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, — უთხრა მან და ირგვლივ შემორტყმულ თანამშრომლებს ჯერჯერობით ჩამოართვა ხელი, — თქვენც იბედნიერეთ! აი დგება კვლავ ახალი წელი ახალი ობიექტური სიძნელეებით. გისურვებთ დრო მხიარულად გაგეტარებინოთ. ოთხში დილას კი ახალი ძალით შეუდგეთ მუშაობას!

თანამშრომლები ყაყანით გამოეფინენ დირექტორის კაბინეტიდან. ჩაბაიმ უჯრა დაკეტა და ტანისამოსის საკიდარისაკენ გაემართა. ღვინის დუქანშიც უნდა გაეკეთო ორი ბოთლი შამპანურის საყიდლად, რადგან ფსონში იყო დაპატიჟებული ახალი წლის შესახვედრად. ის იყო პალტოს მისწვდა ჩამოსაღებად, რომ კარებში საწარმოს მთავარი ბუხალტერი კენენშეი გამოჩნდა.

გაფითრებული იყო და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა... აკანკალებული თითებით ცდილობდა აწეწილი თმის გასწორებას. ჩაბაის უნდოდა მთავარი ბუხალტრისათვის სკამი შეეთავაზებინა, მაგრამ იგი ისეთმა უსიამო წინათგრძნობამ შეიპყრო, რომ გადაწყვიტა ყოველი შემთხვევისათვის თვითონვე დაშვებულიყო სწრაფად სკამზე. მეშინებული თვალებით შესცქეროდა ჩაბაი კენენშეის.

— ღვთის გულისათვის მითხარით, რა მოხდა?

— ამხანაგო დირექტორო, — ტუჩების ოდნავ გაამცაცუნებით ჩაიბუბუტა კენენშეიმ, — თავს უბედურება დაგვატყდა. საშინელი უბედურება! — და, როდესაც შეატყო, რომ ჩაბაის გამბედაობა არა ჰყოფნით ეკითხა, თუ რაშია საქმე, თვითონვე განაგრძო: — რემონტისათვის მოცემული კრედიტი სამი ათასი ფორინტი აუთვისებელი დაგვრჩა!

— ეს როგორ მოხდა? — იკითხა ჩაბაიმ მიკნავებული ხმით.

დირექტორს მოეჩვენა, რომ ძარღვებიდან მთელი სისხლი დაეწრიტა და იგი ადამიანი კი აღარ არის, არამედ ბეხრეკი და ბეჩავი არსებაა, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უღგას.

როდესაც კენენშეიმ შეამჩნია, რომ გამოუყენებელი სამი ათასი ფორინტის გულისათვის დირექტორის სულიერმა შერყევამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, სული მოითქვა და შეფს მთლიანად ჯაბანო მომხდარი ტრაგედიის მოკლე ისტორია. როცა წინასწარი ბალანსი გასინჯა და ალაბამდზე ციფრები ამოკრიფა, აღმოაჩინა, რომ ბუხალტერ ქალს შინკოვიჩს უბრალოდ შეკრებაში დაეშვა შეცდომა (ეს იმიტომ, რომ მთელი დღე ჭრაობას მოანდომა). და ინ არაკეთილსინდისიერი მუშაობის შედეგი: დღეს 31 დეკემბერია და ხუთი ათასი ფორინტიდან, რომელიც მაისში დამატებით მოვთხოვეთ სამინისტროს და მოგვცეს, სამი ათასი ისევ გამოუყენებელია. ჩაბაი მინდქეული თვალებით მიშტერებოდა კარებთან წამოიძახა მან, — უმაგალითო შემთხვევაა! დღეასწაულების შემდეგ განვიხილავ მის საკითხს. ახლა მაგის დრო არა მაქვს, სამი ათასი ფორინტი აუცილებლივ უნდა დაიხარჯოს წელსვე!

— ესე იგი დღეს? და ახლა კი თითქმის ხუთი საათია. ამსოლუტურად შეუძლებელია!

— თუ ლაპარაკია ფინანსური გეგმის შესრულებაზე, იქ არავითარი შეუძლებლობა არა მწამს. ჩვენ დავგეგმეთ ეს თანხა და უეჭველად უნდა ავითვისოთ. გასაგებია? ნუთუ გგონიათ, რომ მომავალ წელს კიდევ რამეს მიიღებთ, თუ ახლა მთლიანად არ დავხარჯავთ ეს თანხა? ცხადია, არა! აი, ხომ ხედავთ! ამასაც რომ თავი დავანებოთ, როგორ ფიქრობთ, რა აზრი შეიქმნება ჩვენზე სამინისტროში, როდესაც გაიგებენ, რომ ჩვენ მიერ დამატებით გამოტანილი ხუთი ათასი ფორინტიდან ნახევარიც ვერ ავითვისეთ? ხომ არა გნებავთ, თითით საჩვენებელი გავხდეთ? სამი ათასი ფორინტი! თქვენი აზრით, ეს უმნიშვნელო გროშია? იქნებ მიბრძანთ, ფანჯრიდან გადავყარო? ძალზე აღმაშფოთებელი ამბავია!

ლოგიკური არგუმენტაციის შეუვალობას დაემორჩილა კენენშეი.

— ახლა უკვე ხუთი საათი სრულდება, — გაახსენა უხალისოდ დირექტორს, — რა გავაკეთოთ? რა სამუშაოები უნდა შევასრულოთ?

ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ჩაბაი ოთახში დაბოტებდა. იგი საერთოდ ახარტი მოსაზრებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მძიმე წუთებში ყოველთვის რაღაცას მოიფიქრებდა ხოლმე. და ამჯერადაც მას გონება ბედნიერმა აზრმა გაუნათა.

— ამ დღეებში ჩვენს ბნეს ვუთხარი, სკამებს ფეხები მოეჭყა-მეთქი.

— სრული ჭეშმარიტებაა, — თავი დაუქნია კენენშეიმ, რომელმაც პირველად გაიგონა ეს ამბავი.

— რა თქმა უნდა, ისეთი განსაკუთრებული არა მომხდარა რა. უბრალოდ სკამები მოინჯორა. მათი ჭრილი ხელს უშლის პროდუქციულ მუშაობას. ფეხები უნდა მიეწებოს.

— ახლა უკვე თითქმის ხუთი საათია, — თქვა კენენშეიმ. თითქოს დათქმული ჰქონდა, რომ ამ წელს სხვა აღარაფერი ეთქვა.

— ჩვენ პირდაპირ ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოა. მეწაღე იქვე გვერდით ცხოვრობს. მასთან ვინმე გაგზავნეთ. დე მოვიდეს და წეზო მოიტანოს. უთხარით, რომ საქმე ეროვნული ეკონომიკის ინტერესებს ეხება. გაინძერით, რას გარნდებულხართ!

კენენშეიმ გადაწყვიტა, რომ უკვე დროა პასიურობას თავი დაანებოს.

— ჩვენ უფლება არა გვაქვს საქმე ვიქონიოთ კერძო სექტორთან, — წყნარად შენიშნა მთავარმა ბუხალტერმა, — ხოლო სახელმწიფო სექტორის მობილიზება კი ამჟამად არ ძალგვიძს.

— ნუ ბიუროკრატობთ! თქვენ ალბათ დაგავიწყდათ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში ვართ? ჰო, რამდენი სკამი გვაქვს?

— ორასამდე.

— მაშასადამე, რვაასი ფეხი. თვითეული ხუთი ფორინტი. ოთხი ათასი ფორინტი. აი, ხედავთ, არცკი გვყოფნის! ორმოცდაათი სკამი მომავალი წლისათვის დავტოვოთ, ორმოცდაათი სკამი! გაუგონარი ამბავია!

ამ კითხვაზე მოხუცს კენენშეიმ უპასუხა. სურდა, რომ საერთო საქმეში მასაც რაიმე წვლილი შეეტანა:

— ყური მიგდე, ბერიკაცო, სკამები ერთდროულად იქნა შეძენილი და ამიტომაც ყველა ერთდროულად მოირყა. ბუნებრივი ამბავია.

ძია ხოლომშა ერთ-ერთ სკამს ხელი დაავლო, ფეხები გაუსინჯა და დინჯად განაცხადა:

— არცერთი ფეხიც არ ერყევა. ახლა მეორე შეამოწმა და მასაც ასეთივე დიაგნოზი დაუსვა. სულაც არ არის სკამები მონჯღრეული! — დასკვნა ბოლოს.

ჩაბაი განერვიულდა.

— დრო მიდის, ყოველი წუთი ძვირფასია. ხოლო მე ნება მიბოძე მძიმედ მოაზროვნე ადამიანს ავუხსნა, რომ სკამები მხოლოდ მაშინ ჭრიალებენ, როდესაც ზედ სხედან. ისინი სიმძიმისაგან ჭრიალებენ და არა იმიტომ, რომ ხელში იღებენ... — დაასრულა მან თავისი მოკლე გამოსვლა და მაგიდაზე თითები ათამაშა.

ძია ხოლოშა სკამზე დაჯდა. ცოტა კიდევაც შეანჯღრია, მაგრამ სკამი არ აჭრიალდა.

— ცოდვაა ასეთი სკამების დაწებება — თქვა ხელოსანმა, რომელიც ხან ჩაბაის შეაყურებდა, ხან კენენშეის.

უცებ დირექტორის მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. მთავარმა ბუხალტერმა სასწრაფოდ მიირბინა და მილაკი ყურთან მიიღო. ჩაბაი სახემოღუშული აღევნებდა მას თვალყურს. ნუთუ სამინისტროდან რეკავენ? არა! კენენშეის უცებ გაეხსნა ზრუნვით დამძიმებული სახე, შუბლზე ღრმა ნაოჭები გადაეტკიცა და მიმკვდარებულ სხეულს სიცოცხლე დაუბრუნდა. მან მოლაკი დადო და დირექტორს საზეიმო ტონით აუწყა:

— ყველაფერი რიგზეა. შინკოვიჩმა მომახსენა, რომ ციფრები არასწორად გადაიტანა და შეცდომაც ამან გამოიწვია. ყველაფერი რიგზეა!.. მთელი კრედიტი უკანასკნელ ფილერამდე ათვისებულია...

ჩაბაის კვლავ აუჩქროლდა სისხლი ძარღვებში. მან მეწაღეს ბეჭებზე ხელი მოუთათუნა.

— იცით რა? სხვა დროს დავაწებოთ. ნამდვილად სჯობს, რომ საახალწლო სადამო არ წაიხდინოთ...

ხოლოში ბედნიერმა ზეიმობდა. მისმა კომპეტენტურმა აზრმა ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა. იგი წებოს დასწვდა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, — ცოტა არ იყოს დარცხვენით წარმოთქვა მან, — მე წებო მოგადუღე. სამი ფორინტი დამიჯდა. კვირამდე გადასაგდები გახდება... ეს სამი ფორინტი რომ მიმეღო...

ჩაბაიმ კენენშეის შეხედა. მან უმწეოდ გაშალა ხელები. დირექტორი მიუხვდა.

—სამწუხაროდ, ჩვენ კრედიტები არა გვაქვს, — უთხრა მან და ხოლომს ხელი გაუწოდა, — მაგრამ, ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ბედნიერი ახალი წელი! —

და... შეიფუთნა პალტოში, რომელიც თავაზიანად მიაწოდა მას კენენშეიმ.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა.

კომუნისტი
მე.-3 გვერდი, სამშაბათი,
5 იანვარი, 1965 წ.

საერთაშორისო
ლენინური
ცხოვრება

ვ. ი. ლენინის ხსოვნისათვის

ზეიმი კუბაში

სენეგალის ამოცანები

მთავრობის საწინააღმდეგო ახალი გამოსვლები

დიდი მოვლენა

ტრაგედია ეკლესიაში

რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა სესიაზე

დიდი პროგრესი

ახალმშენებლოგათა ხარაჩოებში

მეგობრების ღიმილი

უკანასკნელ წუთს

მთავრობის ქრიზისი ნიგერიაში

ლონდონი, 4 იანვარი. (საკ.). ნიგერიის ფედერალური პარლამენტის არჩევნები 30 დეკემბერს გაიმართა, მაგრამ დღემდე არ შექმნილა ამ ქვეყნის ახალი მთავრობა. კრიზისი გამოიწვია უთანხმოებამ პოლიტიკურ პარტიათა ორ დიდ ბლოკს — ნიგერიის ეროვნულ კავშირსა და გაერთიანებულ პროგრესულ დიდ კავშირს შორის შექმნილმა უთანხმოებამ. ამ ბლოკების ხელმძღვანელებმა გამარჯეს თანაბრები, რომლებზეც, როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი ლაგოსიდან იუწყება, ვერ მიაღწიეს გადაწყვეტილებას გამართონ პარტიული ლიდერების გაერთიანებული სხდომა ახლანდელ უთანხმოებათა აღმოსაფხვრელად.

ნიგერიის ეროვნული კავშირი, მმართველ პარტიათა ბლოკი, სახავს წინადადებას შექმნან მთავრობა ნიგერიის სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებისაგან გასული შედეგების საფუძველზე, რომლის დროსაც ბლოკმა ადგილების უმრავლესობა მიიღო ფედერალურ პარლამენტში, ოპოზიციური გაერთიანებული პროგრესული დიადი კავშირი, რომელმაც მოიკოტი გამოუცხადა 30 დეკემბერს არჩევნებს, ამტკიცებს, რომ კანდიდატების დასახელებისა და რეგისტრაციის დროს მოხდა დარღვევები და მოითხოვს გაუქმონ არჩევნების შედეგები და შექმნან ახალი მთავრობა ორ ბლოკში შემავალ პარტიათა წევრებისაგან თანასწორი წარმომადგენლობის საფუძველზე.

ნიგერიის სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და ახალგაზრდა ორგანიზაციები კვლავ მოითხოვენ შეიქმნას დროებითი მთავრობა ახალ არჩევნებამდე, რომელიც უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში უნდა გაიმართოს. ნიგერიელ სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა, კერძოდ, გააკეთა განცხადება, რომ არ ცნობს 30 დეკემბერის არჩევნების შედეგებს და მოითხოვს შეიქმნას დროებითი მთავრობა.

გუშინ ნიგერიის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი აბუბაკარ ტაფაკა ბალეკა ეთათბირა არმიის, პოლიციისა და ფლოტის ხელმძღვანელებს. მოგვიანებით შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა გამოაცხადა, რომ არმიის ნაწილები თავმოყრილი არიან ნიგერიის სხვადასხვა რაიონში, კერძოდ აღმოსავლეთში, აგრეთვე ჩრდილოეთ ნიგერიის დასავლეთსა და სამხრეთში. ნიგერიის პრეზიდენტმა ნამდი აზიკივემ გამართა თათბირი აღმოსავლეთ და შუა დასავლეთ ოლქების პრემიერ-მინისტრებთან და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებთან.

▲

სასცენო ხელოვნების მოამაგე

გიორგი ჯავაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო

რეჟისორი გიორგი ჯავაშვილი ეკუთვნოდა ქართველ თეატრალურ მოღვაწეთა იმ თაობას, რომელიც სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მომდევნო წლებში. ამ თაობის წარმომადგენლებს კარგად ესმოდათ სასცენო ხელოვნების დიდი მნიშვნელობა ხალხის პოლიტიკურად გათვითცნობიერების, გონებრივად განვითარებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. ამიტომ ისინი ძალღონეს არ იშურებდნენ თეატრის ჭეშმარიტად ხალხური ნიადაგზე დაყენებისათვის. სათეატრო საქმიანობაში გ. ჯავაშვილი თავიდანვე მოელი თავისი ახალგაზრდული გატაცებით ჩაება და, მიუხედავად იმისა, რომ არ დასცალდა ხანგრძლივი მუშაობა, მაინც ბევრი რამის გაკეთება შეძლო.

გ. ჯავაშვილი დაიბადა 1894 წელს ქ. თბილისში. საშუალო განათლება მიიღო რუსეთში, ქ. სარატოვის რეალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1915 წელს და იმავე წელს შევიდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში, მაგრამ კურსი არ დაუმთავრებია: პირველ მსოფლიო ომთან დაკავშირებით გაწვეულ იქნა ჯარში და გაიგზავნა ფრონტზე.

სცენაზე მუშაობის სურვილი გ. ჯავაშვილს მოწაფეობის დროს აღეძრა. ის მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა სასკოლო წარმოდგენებში. კარგ აქტიორულ ნიჭს იჩენდა, მაყურებლები ყოველთვის ქებით იხსენიებდნენ. ამან ყმაწვილი წაახალისა. მალე მუშაობა დაიწყო სტატისტად სარატოვის ქალაქის თეატრში, სადაც მონაწილეობდა მასობრივ სცენებში და ზოგჯერ ეპიზოდურ როლებსაც ასრულებდა. 1913 წელს მიიღეს სარატოვის კლუბთან არსებულ დრამატულ წრეში, სადაც უკვე აკისრებდნენ პასუხსაგები როლების განსახიერებას. იგი სისტემატურად გამოდიოდა აგრეთვე ინსტიტუტის სტუდენტთა წარმოდგენებში. აქვე სცადა თავისი უნარი რეჟისორობაშიც. მისი დადგმები მაყურებლის ყურადღებას იქცევდა, და მან საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი მომავალი ცხოვრება თეატრთან დაეკავშირებინა.

1918 წელს დემობილიზაციის წესით გ. ჯავაშვილი განთავისუფლებულ იქნა ჯარიდან და საცხოვრებლად ჩამოვიდა თბილისში. ამ დროს თბილისში პარიზის თეატრის „ოდეონს“ ცნობილი რეჟისორის გ. ჯაბადარის კერძო ინიციატივით და ხელმძღვანელობით დაარსდა ქართული დრამატული სტუდია. გ. ჯავაშვილიც ამ სტუდიაში შევიდა მსმენელად. სტუდია დაამთავრა, მაგრამ თეატრში მუშაობის დაწყება ვერ შეძლო, კვლავ გაიწვიეს ჯარში.

1924 წელს მოსკოვში სამხატვრო თეატრის რეჟისორის ვახტანგ მჭედლიშვილის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ქართული დრამატული სტუდია. სტუდიაში მიღება გამოცდებით წარმოებდა. გ. ჯავაშვილმა გამოცდები კარგად ჩააბარა, ჩარიცხეს სტუდიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მოსკოვის მცირე თეატრის სახელოვანი მსახიობის და დრამატურგის ალ. იუჟინ-სუმბათაშვილის დახმარებით მიიღეს სტაჟიორად სამხატვრო თეატრში. სტაჟიორობის ვადის დამთავრების შემდეგ 1927 წლის მიწურულში დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მუშაობა რეჟისორად. გ. ჯავაშვილი ამ სტუდიაში 1928 წელს დაარსდა თვითმოქმედი საჩვენებელი თეატრი-სტუდია, რომელიც 1931 წელს გადაკეთდა პროფესიულ თეატრად (არსებობდა 1933 წლამდე). ამ თეატრში გ. ჯავაშვილის ხელმძღვანელობით ბევრი ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი აღიზარდა.

1933 წელს გ. ჯავაშვილი მიიწვიეს მასწავლებლად განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სასცენო ხელოვნების უმაღლეს კურსებზე, სადაც ასწავლიდა მსახიობის ოსტატობას, აგრეთვე ასრულებდა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკის გამგის თანამდებობას. აქაც ახალგაზრდა სასცენო კადრების აღზრდაში იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ერთი წლის შემდეგ გ. ჯავაშვილი მიიწვია სარეწაო კოოპერაციის გამგეობამ და დაავალა ახალი ფორმის თეატრის დაარსება და ხელმძღვანელობა. ეს იყო მუსიკალური თეატრი — „კომედია“. თეატრი „კომედიაა“ წარმოდგენებს მართავდა თბილისის მუშათა კლუბებში და საქართველოს სხვა ქალაქებში. მისი წარმოდგენები მაყურებლებს ძლიერ მოსწონდათ და პრესაც მაღალ შეფასებას აძლევდა. მართალია, მუსიკალური თეატრი — „კომედია“ მცირე ხანს არსებობდა, მაგრამ მან ქართული სასცენო ხელოვნების განვითარების ისტორიაში თავისი კვალი დატოვა. ეს იყო პირველი ცდა ასეთი ჟანრის თეატრის დაარსებისა, გ. ჯავაშვილი კი ამ წამოწყების ერთ-ერთ პიონერად ითვლება.

გ. ჯავაშვილი მუშაობდა სხვადასხვა ქალაქში თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელის ან მთავარი რეჟისორის თანამდებობებზე, კერძოდ, ხაშურში, სოხუმში, თელავში და ზესტაფონში. მან ქართულ სცენაზე 60-მდე პიესა დადგა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ვ. გაბესკირიას „ზღვაური“, ჰ. სამსონიძის „სალტე“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“, გ. მდივნის „სამშობლო“, ა. ცაგარიის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“, ალ. კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი“, ბ. ლავრენეიფის „მტრები“.

მის ყველა დადგმას ახასიათებდა რეჟისორული დაკვირვება და სიფაქიზე, დახვეწილობა, ავტორის აზრის სწორი გაგება და ზრუნვა იმისათვის, რათა ეს აზრი სწორადვე იქნას მიტანილი მაყურებლამდე. მის დადგმებში მუდამ დაცული იყო ანსამბლურობა და მხატვრული ზომიერება. გ. ჯავაშვილი, როგორც სამხატვრო თეატრის სკოლაში აღზრდილი რეჟისორი, მტკიცედ ადგა რეალიზმის გზას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გ. ჯავაშვილმა 1941 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა კავშირის კომიტეტის დავალებით ჩამოაყალიბა რუსული დრამის მსახიობთა კოლექტივი, რომელიც წარმოდგენებს მართავდა ნავთლუღის რკინიგზის მუშათა კლუბში. ამ თეატრში მან რამდენიმე პიესა დადგა, მათ შორია მ. გორკის „უკანასკნელნი“.

ომისი წყლილი შეიტანა გ. ჯავაშვილმა ქართული კინოხელოვნების განვითარების საქმეშიც, როგორც კინომსახიობმა მონაწილეობა მიიღო კინოფილმებში „არსენა“, „საბა“, „გიული“, „ნაბარდა“, „ნახვამდის“, „მფრინავი მღებავი“, „უკანასკნელი მასკარადი“, „დიადი განთიადი“, „მდინარის გალმა“ და სხვები. ერთ დროს იგი იყო კინოსტუდიის მსახიობთა კოლექტივის ხელმძღვანელიც.

გ. ჯავაშვილი გარდაიცვალა 1947 წელს.

ს. გერსამია.

საავადმყოფო გიგანტი

საბურთალოზე, სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე აშენდება ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი სამკურნალო დაწესებულება — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო 1.100 საწოლით.

საავადმყოფოს შენობა სწორხაზოვანია. იგი თორმეტსართულიანი იქნება. მისი მშენებლობისათვის გამოიყენებენ ასაწყობ რკინაბეტონის კონსტრუქციებსა და მინას.

საავადმყოფოს პროექტი მუშავდება „საქალაქმშენსახპროექტისა“. და მოსკოვის ტიპურ-ექსპერიმენტული პროექტირების ინსტიტუტებში. არქიტექტურულ სახელოსნოს ხელმძღვანელობენ ა. აღექსანდროვი და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. შავიშვილი. პროექტის მთავარი არქიტექტორია გ. კვიტკანიანი, მთავარი კონსტრუქტორი — მ. ლომიძე.

ომის შესახებ, თუ როგორია მომავალი საავადმყოფოს შენობა და როგორი იქნება სამკურნალო მომსახურება, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ესაუბრა არქიტექტორ მ. შავიშვილსა და რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს ლ. ქავთარაძეს.

საავადმყოფო-გიგანტი აშენდება ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, სიღრმეში. წინ ოთხ ქექტარ ფართობზე გაშენდება ბაღი, სადაც გამოჯანსაღებულ ავადმყოფები დაისვენებენ.

ახალი სამკურნალო დაწესებულება აღჭურვილი იქნება თანამედროვე საფიგნოსტიკო აპარატურითა და მოწყობილობით. შენობის ბოლო სართულზე მოთავსდება ქირურგიული განყოფილება, დანარჩენ სართულებზე განაწილდება თერაპიული, ნერვული, ტრავმატოლოგიური, უროლოგიური, გინეკოლოგიური, ყელ-ყურის განყოფილებები.

პროექტით გათვალისწინებულია ერთ, ორ და ოთხსაწოლიანი რადიოფიცირებული პალატები. ავადმყოფს შეეძლება სპეციალური სასიგნალო მოწყობილობის დახმარებით დაუკავშირდეს სამედიცინო პერსონალი.

საოპერაციოსა და ოპერაციის შემდეგ ავადმყოფისათვის განკუთვნილ პალატებში კონდიცირებული ჰაერი იქნება.

საავადმყოფოს ძირითადი კორპუსის გარდა აშენდება სამსართულიანი პოლიკლინიკა, პათოლოგიურ-ანატომიური კორპუსი, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან მიწისქვეშა გვირაბებით.

სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე ამ საავადმყოფოს მშენებლობა შემთხვევითი როდია. ეს ინსტიტუტის ბაზა იქნება. გათვალისწინებულია მოქმედ ინსტიტუტის 12 კლინიკური ბაზა.

საავადმყოფო-გიგანტის მშენებლობა 1965 წელს დაიწყება.

ლ. ხუბულური.

სურათზე: ასეთი იქნება ახალი საავადმყოფო-გიგანტი.



ახლის დაგადეგა

▲ **ქალაქ** ტყიბულში დამთავრდა დიეტური სარძეო სამზარეულოს მშენებლობა. სარძეო სამზარეულო ყოველდღიურად დაამზადებს 1.000-მდე ულუფა რძის ნაწარმს.

ა. არსენიძე.

△ **გეგეჭკორი.** (საკ. კორ.). რაიონის მშრომელთა ინიციატივით მრავალ სოფელსა და დასახლებულ პუნქტში აშენდა კინოთეატრები და კლუბ-კანტორები.

აგარაკ ლებარდეში წელს აშენდა 200-ადგილიანი კინოთეატრი, სადაც ყოველ საღამოობით დამსვენებლებს უჩვენებდნენ კინოფილმებს.

დიდიჯყონის კოლმეურნეობამ საკუთარი სახსრებით ააშენა 500-ადგილიანი კინოთეატრი.

დ. ნ. მახარაშვილი

ანამოგალე. [illegible] ავადმყოფების შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ [illegible] ფინანსთა მინისტრი [illegible] ლი დაიბადა 1909 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მაშნაარში, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1936 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ოცა წლის მანძილზე სახალხო განათლების დარგში მუშაობდა — ჯერ საშუალო სკოლის დირექტორად, ხოლო შემდეგ სახალხო განათლების რაიონული განყოფილების გამგედ.

1944-1947 წლებში დ. მახარაშვილი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი იყო, ხოლო 1947 წელს საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის მეორე მდივნად აირჩიეს, სადაც მუშაობდა 1950 წლამდე. 1950-დან 1952 წლამდე საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის პირველი მდივანია, ხოლო 1952-დან 1954 წლამდე — სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი. შემდეგ დ. მახარაშვილი 11 წლის მანძილზე იყო საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

დ. მახარაშვილი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. იგი იყო საქართველოს სსრ მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გულისხმიერი და გულითადი ამხანაგის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების გულში.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო.

დამკრძალავი კომისია იუწყება, რომ დ. ნ. მახარაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 5 იანვარს დღის 3 საათზე.

გამოსვენება 5 იანვარს 4 საათზე ბინიდან (ფალიაშვილის ქ., № 33-ა). დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

ჩემპიონატები • ტურნირები • მიმოხილვა • ინტერვიუ

უსვეოსავლიანი წელი

ს. ფლორი

ხშირად მსმენია უცნაური სიტყვები: „მალე გავდოდეს ეს ნაკიანი წელი!“ დრო არასოდეს არ უნდა დაანჩარო. იგი გარდუვალად მიდის წარსულში და ადამიანი... მხოლოდ ბერდება. გასული წლის ზოგიერთ შედეგს სპორტისა და ჭადრაკის თვალით თუ შეეჯამებთ, უნდა ვთქვათ: ეს კარგი, განსაკუთრებით უხვმოსავლიანი წელი იყო ჩვენი სპორტსმენებისათვის.

ინსბრუკიდან ჩვენი ოლიმპიელები ოქროთი ძმიდან დატვირთულნი დაბრუნდნენ. სკეპტიკოსები იტყვიან: მაროთონია, მაგრამ ტოკიოდან ნაკლები ჩამოიტანეს, ვიდრე დაგვპირდნენო. სწორია, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენმა გროსმაისტერებმა ტელ-ავივიდან ჩამოიტანეს ის ოქროს მედლები, რაც ჩვენს მძლეოსნებს ტოკიოში დააკლდათ.

თუ, ვთქვათ, მოსკოვში ზოგი ვინმე ბუზღუნებდა 1964 წელზე, თბილისში არავის აზრადაც არ მოუვა სამდურავი გამოთქვას ძველი წლის მიმართ, დიახაც! თბილისის „დინამო“ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ნონამ მნიშვნელოვნად განიმტკიცა მაღალი მდგომარეობა. თუნდაც ეს ორი ფაქტი საკმარისია იმისათვის, რომ გასული წელი ოქროს წელი იყო თბილისისათვის.

შესაძლოა ახალი წლის მიჯნაზე სპორტსმენებს ოდნავ გაუფუჭა გუნება იმან, რომ ექსპერტთა კენჭისყრის შედეგად წლის საუკეთესო სპორტსმენთა სიას სათავეში უდგას ქალი! ლიდია სკობლიკოვა „გადაახტა“ ვალერი ბოუმეილ — წარსულში ნომერ 1 სპორტსმენს.

ჩვენ, მოჭადრაკეებს, ჯერჯერობით ასეთი სია არა გვაქვს. ჩვენ გვგონია, ჭადრაკის პატარა სამყაროში ასეთი სია რომ შედგეს, პირველ ნომრებს მიიღებდნენ სწორედ მსოფლიოს ჩემპიონები: ტ. პეტროსიანი და ნონა გაფრინდაშვილი. მსოფლიოს ჩემპიონმა გაიმარჯვა მცხუნვარე არგენტინაში (თავის თანამგზავრ ბ. ფალიაშვილთან ერთად). 26 ნოემბერს იგი ჯერ კიდევ ტელ-ავივში იმყოფებოდა, ხოლო 3 დეკემბერს ჭადრაკის დაფას მიუჯდა მოსკოვში. პეტროსიანმა წააგო პარტია ვ. ლიბერზონთან. მაგრამ ეს მხოლოდ „ხუთობაა“ და კურიოზი იყო. მსოფლიოს ჩემპიონი დანებდა მე-15 სვლაზე ისეთ პოზიციაში, სადაც შედეგი სულაც არ იყო ნათელი! კიდევ ერთი მაგალითი, რომ მსოფლიოს ჩემპიონიც კი არ არის დაზღვეული საჭადრაკო სიბრმავისაგან. მაინც პეტროსიანმა ადგილად დაიკავა პირველი ადგილი და თავის ტიტულს დაუმატა კიდევ ერთი: პროფკავშირების ჩემპიონი!

პეტროსიანს არც ნონა ჩამორჩა. თავის უმაღლეს ტიტულს დაუმატა არანაკლებ ძვირფასი წოდება სსრ კავშირის ჩემპიონისა!

საინტერესოა, რომ იმ დროს, როცა საბჭოთა მოჭადრაკეები ახალ წელს სამშობლოში დღესასწაულობდნენ, ნონა (თავის გამცილებელ პ. კერესთან ერთად) იმყოფება საბრძოლო საგუშაგოზე ჭადრაკის ქალაქ ჰასტინგსში. ბრძოლა კი სერიოზული და ძნელია, ნონა ამჯერად ებრძვის მამაკაცებს, გროსმაისტერთა კომპანიაში!

მე ვესაუბრე თბილისში ბრწყინვალედ „მოწყობილი ქალთა ჩემპიონატის მხახეელს მიშა ტალს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი აღტაცებული იყო. მან მაღალი შეფასება მისცა გაფრინდაშვილის და საერთოდ ახალგაზრდობის ტრიუმფს. ლენა რუბცოვა მეტოქეობას უწევდა თვით ნონას! ნაღვლიანობისათვის საფუძველი არა აქვს ნანა ალექსანდრიას. იგი მალე როდი მიიღებს პასპორტს. მაგრამ ჯერ კიდევ ამ საზეიმო დღემდე უეჭველად შეძლებს სპორტის ოსტატის ბილეთსაც. შემდეგ კი?! ვინ იცის? იქნებ როდესმე გაიმართოს მატჩი ნონანანა?!

გასული წლის მოელენებიდან ყველაზე მეტად დამახსოვდა ორი ამბავი: საზონთაშორისო ტურნირი ამსტერდამში გარდუვალი ტრაგედიით ორი ჩვენი გროსმაისტერისათვის (ბრონშტეინი და შტეინი) და განსაკუთრებით დრამა სოხუმის დრამის თეატრში! განა შეიძლება დაავიწყდეს ადამიანს თუნდაც სენსაციური უკანასკნელი ტური?! არა, არასოდეს არ დამავიწყდება, როცა ხალხით გაჭედილი დარბაზი ტაშს უკრავდა ამერიკელ გრესერს, რომელმაც მეტად საგრძნობი დამარცხება მიაყენა მილუნკა ლაზარევიჩს. ასეთივე ტაში, თუ მეტი არა, დაიმსახურა მაშინ დამარცხებულმა ლაზარევიჩმაც, ვინაიდან მან ლამაზად წააგო.

ამრიგად, საკირო გახდა „დამატებითი დროის“ დანიშვნა. კუშნირ-ხატულოვსკაია-ლაზარევიჩის მატჩ-ტურნირს შეიძლება ვუწოდოთ „გრესერის სახელობის ტურნირი“. ამ მეტად ნერვული შეჯიბრების მიზეზი სწორედ გრესერი იყო.

და აი მ. ლაზარევიჩისათვის განმეორდა სოხუმის ტრაგედია, უკანასკნელ მომენტში მან კვლავ წაიბორძიკა. ნ. გაფრინდაშვილის მეტოქე ა. კუშნირი გახდა.

მ. ბოტვინიკმა გასულ წელს დიდი მორალური კმაყოფილება მიიღო: ჩვენი ქვეყნის საგუნდო პირველობაში მან დაამარცხა პეტროსიანი, სმისლოვი, შტეინი. ბევრს მიაჩნია, რომ ბოტვინიკმა უარი არ უნდა თქვას მსოფლიოს პირველობისათვის ბრძოლაში მონაწილეობაზე. თვითონ ბოტვინიკი დუმს. მაგრამ მალე მაინც უნდა თქვას — „ჰო“ თუ „არა“.

სმისლოვმა ჩინებულად გაატარა ნახევარი. ამსტერდამი — 1-4 ადგილის ბაყოფა. ჰავანა — გამარჯვება (ულამანთან ერთად). ჯეროვან სიმაღლეზე იყო ბ. სპასკიც. ბელგრადის დიდ ტურნირში გამარჯვების შემდეგ იგი თავს მილიონერად გრძნობდა (პირველი პრიზი თითქმის მილიონი დინარი იყო).

საეჭვოა, რომ დასახელებული სამეული უახლოეს ხანში ჭადრაკის დაფასთან ვიხილოთ, ვინაიდან პრეტენდენტთა ტურნირი შორს აღარ არის — აპრილ-მაისში გაიმართება სსრ კავშირსა და იუგოსლავიაში.

მიშა ტალიც, ჩემი აზრით, მყუდრო საშინაო კაბინეტში უნდა ემზადებოდეს. მაგრამ განა ჭადრაკის ეს ფანატიკოსი მშვიდად გაძლებს ადგილზე, როცა საჭადრაკო ტურნირია?! მიშა თბილისიდან გაფრინდა კიევში, სადაც მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის პირველობაში.

ბევრს ალბათ ახსოვს, რომ ომის დასაწყისში თბილისის რუსთაველის პროსპექტზე დასეირნობდა ლამაზი, თმახუჭუჭა 16 წლის ბიჭი: ეს იყო დავით ბრონშტეინი, კიევიდან თბილისში ევაკუირებული. ახლა ბრონშტეინი მხცოვანი გროსმაისტერია და ალბათ უნდა „ძველი გაიხსენოს“ მშობლიურ ქალაქ კიევში. პირველ ტურში ტალზე გამარჯვება აშკარად მიგვითითებს იმაზე, რომ პატარა დავითი „მძვინვარებას“ აპირებს.

ბარგს ალაგებს ე. გელერი. ამ დღეებში მიფრინავს ბელგრადიდან ტრადიციულ ტურნირზე. გელერთან ერთად მიდის 15 წლის იური ბალაშოვიც. ეს ჩვენი ერთ-ერთი ახალგაზრდა ვარსკვლავი ბოტვინიკის მოწაფეა.

უკან დარჩა კარგი წელი. უეჭველია, რომ ახალ წელსაც ჩვენს მოჭადრაკეებს საქმე მხოლოდ კარგად ექნებათ, ვინაიდან მათ ცუდი წელი არასოდეს არ აქვთ.

პასუხსაგები წელი აქვთ თბილისელ და საერთოდ ქართველ გულშემტკივრებს. ახალ წელს მათ წინაშეა პასუხსაგები ამოცანა: თვალი ადევნონ, რომ „დინამოს“ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება ვერავინ წაართვას და რომ ნონამ ჭადრაკის გვირგვინი არ დათმოს. ფეხბურთზე ვერაფერს ვიტყვი — პასუხს ვერ ვაგებ მრგვალი ბურთისათვის. ნონაზე კი შემიძლია გარანტია მოგცეთ, რომ მის წინააღმდეგ „ხელყოფას“ წარმატება არ ექნება.

რაც უნდა იყოს, ცხოვრებაში მთავარია ჯანმრთელობა. სულით და გულით მინდა სწორედ ჯანმრთელობა ვუსურვო „კომუნისტის“ ყველა მკითხველს.

ჯასტინგსის საახალწლო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ახალი წლის პირველ დღეებში რამდენიმე ტური გათამაშდა.

არც თუ კარგი სტარტის შემდეგ (სამი პარტიიდან ნახევარი ქულა) მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა ორი პარტია მოიგო ზედიზედ. მან დაამარცხა ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტი პ. ლი და ინგლისის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე დ. მარდლა. მეექვსე ტურში ნ. გაფრინდაშვილის მეტოქე იყო მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის რუმინელი ფ. გეორგიუ. აქ წარმატება რუმინელ მოჭადრაკეს ხვდა.

საბჭოთა გროსმაისტერი პ. კერესი დაეწია ლიდერს — იუგოსლავიის არაერთგზის ჩემპიონს ს. გლიგორიჩს. პ. კერესმა მოუგო ბრაზილიელ ა. როშას და ინგლისელ ო. ჰენდლის, მეექვსე ტურში დაამარცხა ნ. ლიტლვუდი (ინგლისი), ხოლო მეშვიდე ტურში გადადო პარტია ნ. გაფრინდაშვილთან.

ს. გლიგორიჩმა მეოთხე ტურში ნახევარი ქულა დაკარგა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენელთან — ჰ. პფელგერთან, ხოლო მომდევნო პარტიები მოიგო და ლიდერი გახდა 6,5 ქულით. ჰ. პფელგერს 6 ქულა აქვს, პ. კერესს — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ნ. გაფრინდაშვილი მეექვსე ადგილზეა.

ოლიმპიურ ტრამპლინზე

ვენა, 4 იანვარი. (საკდესი). გუშინ „ოთხი ტრამპლინის ტურნეს“ მესამე ტურში ინსბრუკის ბერგ-იზელის ოლიმპიურ ტრამპლინზე გაიმარჯვა ნორვეგიელმა ტ. ბრანდცეგმა და ამით განიმტკიცა ლიდერობა. იგი გადახტა 90,5 და 87 მეტრზე და მოაგროვა 229,3 ქულა. წინა ტრამპლინის გამარჯვებულმა ფინელმა ვ. პუკამ მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა.

სსრ კავშირის მოთხილამურე პ. კოვალენკო, რომელიც მეორე ადგილზე იყო, დილით წვრთნის დროს დაშავდა და ვეღარ მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში.

ჩვენი სპორტსმენები: ვ. კრიუკოვი გამოვიდა მეექვსე ადგილზე — 213,2 ქულა (84 და 88,5 მეტრი), ბ. ვერეტენიკოვი — მეთერმეტე ადგილზე—203,3 (81,5 და 84), ა. ივანიკოვი — მე-12 ადგილზე — 202,6 (87 და 81,5), ი. უბარევმა გაიყო მე-13 ადგილი. გ. სოლოგუბი მეთვრამეტე ადგილზე გამოვიდა.

ე. მატუსევიჩი — უძლიერესი

ოსლოს მახლობლად გენვიკში გაიმართა საერთაშორისო ასპარეზობა ჩქაროსნულ-ციგურაობაში, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

შეჯიბრების გმირი აღმოჩნდა სსრ კავშირის ანსოლუტური ჩემპიონი ედუარდ მატუსევიჩი, მან მაღალი შედეგები აჩვენა 1.500 და 5.000 მეტრზე რბენაში, ოთხ დისტანციაზე მიიღო 179, 193 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა ახალი მსოფლიო მიღწევებით.

საახალწლო ნაკვესები

△ **საახალწლო** ნაძვისხემ თქვა, ჯერ მომჭრეს, მომთხარეს, და ახლა თავს მევლებიანო.

△ **ძველმა** წელმა ახალს უთხრა, ჩემი ხნისა შენც გახდიო...

△ **ახალ** წელს დედამთილმა რძალს ტკბილეულობა მიუტანა, ენა დაგიტკბებაო.

△ **ახალ** წელს მძღოლებმა ერთმანეთს მიულოცეს, ამიერიდან მანქანები უფათერაკოდ გვემართოს, რომ ავტოინსპექტორისა აღარაფერი გვემართოსო.

ჯ. უთრუთაშვილი.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ბოლოდროინდელ ინფორმაციათა მიხედვით

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები
5 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დაესი (დღისით), ლუჩია დი ლამერმური (საღამოს, 21-ე აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — ჭინჭრაქა (დღისით, მე-5 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), ღვთაებრივი კომედია (საღამოს, მე-14 აბონ. 1-ლი წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — დეკემბრების ოჯახი (დღისით, 22-ე აბონ. 1-ლი წარმოდგენა), უცნობი (საღამოს, მე-7 აბონემენტის 1-ლი წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — ანა ფრანკის დღიური (დღისით და საღამოს მე-8 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **სანკულტურის** — ვეზისუბნელი ძმაკაცები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — მეთორმეტე ღამე (25-ე აბონ. დღის 10 ს.), კობა (43-ე აბონ. საღ. 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ორი მეგობარი (დღის 11 ს. და 2 ს.).

ტელევიზია
5 იანვარი

12.00 — თქვენთვის, პატარებო! მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ზამთარი“, „ზამთარი“, 12.20 — ოქტომბრელთათვის — პატარა პოემები, 12.40 — პიონერული ახალი ამბები, 12.50 — მოსწავლეთათვის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „სულ ერთია, დაგიწევი“, 18.00 — გადაცემათა პროგრამა, 18.05 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა „სამოქალაქო სამართლის ახალი კოდექსი“, 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — გადაცემა ციკლიდან „მეერალი და ცხოვრება“, მამია ასათიანი, 20.00 — კინონარკვევი, 20.20 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 20.50 — მხატვრული ფილმი „წვიმიანი კვირადღე“, 22.30 — ახალი ამბები.

პირველი პროგრამით
5 იანვარი

11.15 — სცენები პროკოფიევის ოპერებიდან, 12.10 — გადაცემა ციკლიდან — „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში“, 13.10 — მსუბუქი მუსიკა, 13.40 — პოლონური სიმღერები, 14.00 — მეტნერი. მესამე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის (მოსკოვი), 15.00 — „მშობლიურ მხარეში (მოსკოვი), 15.30 — „მეგობრების ხმები“ (მოსკოვი), 17.15 — ფრაგმენტები ქართველ კომპოზიტორთა ბალეტებიდან, 17.40 — გადაცემა პატარებისათვის — „ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — კონცერტი „ნაცნობი მელოდიები“, 18.45 — არიები ოპერებიდან ი. არხიპოვის შესრულებით, 19.30 — გადაცემა — „მოწინავე გამოცდილების სკოლა“, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.15 — „ძილისპირული“, 20.30 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — კონცერტი კამერული მუსიკის მოყვარულთათვის, 22.10 — ლ. ასათიანის ლექსები, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ: 3-15-00-დან. 09-მდე რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული—9-87-61, პროპაგანდის—3-22-89, მრეწველობის—3-20-43, სოფლის მეურნეობის—3-32-46 საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, უცხოეთის — 3-18-55, წერილების—9-73-24, ილუსტრაციის—3-19-99, განცხადებების—9-94-42.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЗ 00504

საკ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.